# „კამელინი“ კვლავ უცხოელი მეცნიერების ყურადღების ცენტრშია

მოგეხსენებათ, 26 მაისს, ნიუ იორკში, მანჰეტენის ცენტრში, სასტუმრო „Marriott Marqius“-ის სამეჯლისო დარბაზში გაიმართება საერთაშორისო ორგანიზაცია „BID–BUSINESS INITIATIVI DIRECTIONS“ ექსპერტთა ჯგუფის მიერ სხვადასხვა ქვეყნიდან შერჩეული კომპანიების დაჯილდოების ცერემონიალი. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოდან, ფარმაცევტულ კომპანია „კამელინს“ ხვდა ჯილდოდ უმაღლეს კატეგორიათა შორის ერთ-ერთი და მიენიჭა პრიზი „QUALITY SUMMIT”-ოქროს კატეგორია. პრიზი „QUALITY SUMMIT“ ენიჭება კომპანიებს, რომლებიც აკმაყოფილებენ QC100-ის კრიტერიუმებს, რომელიც ეფუძვნება კომპანიების ტექნოლოგიურ განახლებას, ეფექტური და მოქნილი საქმიანობის მოდელს, პროდუქციის ხარისხის მუდმივ ამაღლებას და სხვ.

„კამელინი“ კვლავ უცხოელი მეცნიერების ყურადღების არეალში რჩება, ფარმაცევტული კომპანია „კამელინის“ დირექტორი, სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი, პროფესორი **კობა გურიელიძე** მიწვეულია **ჩიკაგოში 20-22 ოქტომბერს ონკოლოგიური მეცნიერებისა და თერაპიის მე-4 საერთაშორისო კონგრესზე**. საორგანიზაციო კომიტეტის წევრები არიან ამერიკის სხვადასხვა ცნობილი უნივერსიტეტის პროფესორები: მიჩელ რესკი (ჰარვარდის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლა), მასაოჩი იამაგუჩი (ემორის სამედიცინო უნივერსიტეტი), იოშიაკი ომურა (ნიუ-ორკის სამედიცინო კოლეჯი) და საფრანგეთიდან სალემ ჩოუაიბი (გუსტავ როუსის ონკოლოგიის უნივერსიტეტი). ბ-ნი კობა მოხსენებას გააკეთებს პრეპარატ „კამელინზე“ წარმოებულ ექსპერიმენტულ-კლინიკურ კვლევებზე როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთის სამეცნიერო-კლინიკურ ცენტრებში.

**კობა გურიელიძე**:

— 2004 წლიდან პრეპარატ „კამელინის“ ავტორის, ქირურგის, ბატონ ძაგული მაღლაკელიძის პირად არქივებში დაცულ უზარმაზარ პრაქტიკულ მასალაზე დაყრდნობით დაფუძნდა თანამედროვე სტანდარტების ფარმაცევტული კომპანია „კამელინი“, შეიქმნა სამეცნიერო ჯგუფი და დაიწყო პრეპარატ „კამელინის“ უნიკალური თვისებების ახლებური კვლევა. ამ დროიდან დაწყებული „კამელინმა“ უმოკლეს დროში მოიარა უცხოეთის ცნობილი სამეცნიერო და კლინიკური ცენტრები. „კამელინზე“ განხორციელებულმა კვლევებმა ცხადყო პრეპარატის დიდი პოტენციალი, როგორც ანტიბიოტიკებისადმი მდგრადი ბაქტერიების, ვირუსებისა და სოკოვანი დაავადებების სამკურნალოდ, ასევე სიმსივნის წინააღმდეგ საბრძოლველად. „კამელინის“ სუბსტანციაზე წამლის სხვა ფორმების (კაფსულები, მალამო, სანთლები, სპრეი) შექმნამ, ასევე ორგანიზმში შეყვანის ახალმა მეთოდებმა (ელექროფორეზი, ულტრაფონოფორეზი, ინჰალაცია და სხვ.) მნიშვნელოვნად გააფართოვა ამ პრეპარატის კლინიკური გამოყენების სფერო. „კამელინი“ 100%-ით ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატია, არატოქსიკური და ჰიპოალერგიულია, გააჩნია ანთების საწინააღმდეგო, მარეგენერირებელი, ანტისეპტიკური, ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი. 2010 წლის იანვარში ესპანეთში გამართულ სიმპოზიუმზე „internerional conference on antimicrobial research“ წარმოდგენილი იყო სამეცნიერო ნაშრომი პრეპარატ „კამელინზე“, რომელიც შემდგომ დაიბეჭდა გამომცემლობა „World Scientifik“-ის მიერ გამოცემულ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო წიგნში სათაურით „evaluation of in vitro and in vivo antibacterial and anti-fungal activity of „Camelyn m“.

„კამელინის“ სუბსტანციაზე წამლის სხვა ფორმების (კაფსულები, მალამო, სანთლები, სპრეი) შექმნამ, ასევე ორგანიზმში შეყვანის ახალმა მეთოდებმა (ელექროფორეზი, ულტრაფონოფორეზი, ინჰალაცია და სხვ.) მნიშვნელოვნად გააფართოვა ამ პრეპარატის კლინიკური გამოყენების სფერო. „კამელინის“ იმუნომოდულირებელი თვისების გამოვლენამ საშუალება მოგვცა მისი ეფექტურობის მექანიზმის ახსნა არსებითად განსხვავებული დაავადებებისას, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ პათოგენეზში ადგილი აქვს იმუნოპათოლოგიურ ფაქტორებს. პრეპარატ „კამელინის„5“ ფორმა — „კამელინ მ1“„ინიექცია, „კამელინ მ2“ კაფსულა, „კამელინ მ3“ მალამო, „კამელინ მ4“ სანთლები და „კამელინფლუ სპრეი“ უკვე დარეგისტრირებულია ყირგიზეთშიც.

***მოამზადა***
***მაია ცომაიამ*** 0

**„კამელინთან“ დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და კონსულტაცია უფასოა, დარეკეთ: 2-98-57-78; 2-93-20-87; 2-98-62-25 (ოფისი); 2-75-04-08; 599-33-10-89; 599-58-09-07; 577-73-56-51; 599-23-03-33.**